÷ ÷ ÷

მიყვარდა ჰანგი გრძნობით გამთბარი
ყვავილებივით ნაზი და ჩუმი,
ხან მოშრიალე, ვით აბრეშუმი,
ხან მოთამაშე, ვით ნიავ-ქარი-
სიმღერა გულში დაგუბებული,
ხან ნიავივით, ხან ыgыпӯпӯеӯս
тпу уӯштпgыӯ зgт ӯфgега випӯ,
gагппгӯпга ფერად пӯепӯеӯս.
ვმღეროდი დამთვრალ ყვავილთა მტვერში
ვმღეროდი ტრფობის ან მტრობის ხმაზე,
მსურდა ყოველში და ყგელაფერში
მუსიკა, გრძნობა და სილამაზე.
მუსიკა იგი, ჰოი, მგოსნებო,
მართალი არას იგი თქმულება,
რომ უფრო დიდი და საოცნებო,
უფრო მაღალი დანიშნულება –
არ არის, როგორც განწმენდის ხმაში,
ვით ცეცხლის ალში დააცხრო ვნება,
რასაც არ ჰქვია რითმათა ტაში
და განცდათ ტანვχვა– მშვენიერება.